

შპს „ვაინორ ზოს“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2022

შპს „ვაინორ ზოს“

სარჩევი

I.	სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
II.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
III.	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
IV.	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-14
1.	ზოგადი ინფორმაცია	6
2.	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
3.	სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7-10
4.	ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	10
5.	ამონაგები.....	10
6.	სხვა შემოსავლები	11
7.	სხვა ხარჯები.....	11
8.	ძირითადი საშუალებები.....	11
9.	არამატერიალური აქტივი.....	12
10.	მარაგი	12
11.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
12.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
13.	საწესდებო კაპიტალი.....	13
14.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
15.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	13
16.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
17.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

-	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
ამონაგები	5	2,338,231	2,178,877
სხვა შემოსავლები	6	31,840	39,810
ცვლილებები მარაგის ნაშთში		438	681
შეძენილი ნედლეული და მასალები		(5,102)	(11,721)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(2,238,096)	(1,718,565)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(51,594)	(50,402)
სხვა ხარჯები	7	(263,912)	(184,173)
მოგება დაბეგვრამდე		(188,194)	254,508
საგადასახადო ხარჯი		-	
წლიური მოგება		(188,194)	254,508
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(188,194)	254,508
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		515,494	260,986
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		327,300	515,494

ხელმძღვანელობის სახელით:

ჰარი მასა

ეკატერინე საგინაშვილი




დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	152,890	138,913
არამატერიალური აქტივები	9	992	2,475
სესხთან დაკავშირებული მოთხოვნები		32,556	55,476
სულ გრძელვადიანი აქტივები		186,438	196,864
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	413	851
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	30,313	28,782
სესხთან დაკავშირებული მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი		42,048	48,280
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	111,610	244,465
სულ მიმდინარე აქტივები		184,384	322,377
სულ აქტივები		370,822	519,241
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	100	100
გაუნაწილებელი მოგება ზარალი		327,300	515,494
სულ საკუთარი კაპიტალი		327,400	515,594
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	43,422	3,647
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		43,422	3,647
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		370,822	519,241

ხელმძღვანელობის სახელით:

ჰარი მასა

ეკატერინე საგინაშვილი




დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,334,936	2,175,234
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(181,385)	(219,791)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,180,276)	(1,685,124)
გადახდილი გადასახადები	(15,235)	(22,755)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,676)	247,565
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხი	-	(95,095)
სესხის დაბრუნების შედეგად მიღებული ფული	33,283	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(75,742)	(38,401)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (ჯამი უნდა ეწეროს)	(42,459)	(133,496)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	(48,433)	28,095
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(99,568)	142,164
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	244,461	102,301
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	111,610	244,465

ხელმძღვანელობის სახელით:

ჰარი მასა

ეკატერინე საგინაშვილი




დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის**
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვაინორ-ბოს“ (ს/კ 404874631) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში.

საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ვაშლიჯვარის დასახლება, კორპუსი 14, ბ. 31.

საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, ხორნაბუჯის ქ. 80.

საწარმოს კაპიტალის 100 პროცენტის მფლობელია შპს „ვაინორ & კო.“ კომანდიტური საზოგადოება, 5676 / გერმანია/.

საწარმოს მაკონტროლებელი მხარეს წარმოადგენს შპს „ვაინორ & კო.“ კომანდიტური საზოგადოება.

საწარმოს საქმიანობის მთავარი საგანია საინჟინერინგო მომსახურება, რაც გულისხმობს საკუთარი სპეციალისტების მიერ მარკიზების, ტერასების, სახურავებისა და ზამთრის ბაღების დაპროექტებას, მასთან დაკავშირებული შეკვეთების დამუშავებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების შექმნას.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს სტანდარტი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად. მსს ფასს სტანდარტის გამოყენებას არ გამოუწვევია ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესაბამისი თანხების ცვლილების ეფექტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ს.

საწარმოს უკანასკნელი ანგარიშგება მომზადებულია აქვს ეროვნული სტანდარტებით. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო იყენებს მსს ფასს სტანდარტზე გადასვლისას, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც საწარმოს საანგარიშგებო მუხლებისათვის

გამოყენებული იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია საწარმოსთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. ხელმძღვანელობის აზრით საანგარიშგებო პერიოდის უარყოფითი ფინანსური შედეგი საფრთხეს არ უქმნის საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურების რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

სასესხო მოთხოვნები

სასესხო მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების, მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები - 2%

ოფისის აღჭურვილობა - 10-20%

ავტო და ინვენტარი - 10-15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

გაყიდული/მოხმარებული მარაგის საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) და არამატერიალური აქტივის განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	2,338,231	2,178,877
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,338,231	2,178,877

6. სხვა შემოსავლები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
პროცენტი	15,367	3,173
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	15,202	547
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		32,709
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,271	3,381
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	31,840	39,810

7. სხვა ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
მივლინების ხარჯი	20,646	13,905
კომუნიკაციის ხარჯი	43,343	41,749
კომუნალური ხარჯი	16,251	12,998
საგადასახადო ხარჯი	1,459	-
საიჯარო ქირა	82,333	72,723
სხვა მომსახურების ხარჯი	99,880	42,798
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	263,912	184,173

8. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2021
შექმნის ღირებულება				
მანქანა - დანადგარები	268,532	62,148	-	206,384
ოფისის აღჭურვილობა	158,167	1,938	0	156,229
კომპიუტერული ტექნიკა				
ავეჯი და ინვენტარი	8,397	0	()	8,397
ჯამი	435,096	0	0	371,009
ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 01.01.2021
მანქანა - დანადგარი	150,432	27,746	-	122,725
ოფისის აღჭურვილობა	124,311	21,317	(0)	102,994
ავეჯი და ინვენტარი	7,423	1,046	0)	6,377
ჯამი	282,206	50,110	(0)	232,095
საბალანსო ღირებულება	152,890			138,914

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

9. არამატერიალური აქტივი

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2021
შეძენის ღირებულება				
კომპიუტერული პროგრამები	13,782			13,782
ჯამი	13,782	-	-	13,782
ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2021	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 01.01.2021
კომპიუტერული პროგრამები	12,790	1,483		11,307
ჯამი	12,790	1,483	-	11,307
საბალანსო ღირებულება	992	(1,483)	-	2,475

10. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
ნედლეული და მასალები	413	851
სულ მარაგები	413	851
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	5,040	1,1040

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
გადახდილი ავანსები	9,865	1,825
საგადასახადო მოთხოვნები	17,881	26,956
საპენსიო გადასახადი	2,567	
სულ	30,313	28,781

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	111,609	244,464
სულ ფულადი სახსრები	111,609	244,464

13. საწესდებო კაპიტალი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	100	100
შეესებული კაპიტალის ოდენობა	100	100

კაპიტალში შენატანი განხორციელებულია სრული ოდენობით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 01 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	6,282	3,647
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	-	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	6,282	3,647
გადასახდელი ხელფასები	37,140	-
ჯამი	43,422	3,647

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს

ა) შპს ვაინორ ბოს მიერ არის გაცემული კრედიტის სახით 25000,00 ევრო ეროვნული კურსის მიხედვით (95095,00 ლარი)ს ოდენობით საპროცენტო განაკვეთი 17,5 %.

ბ) შპს ვაინორ ბოს დირექტორ ჰარი მასისგან აქვს ნაქირავები საოფისე ფართი 386,84 კვ.მ. ყოვეთვიური საიჯარო გადასახადი 1450,00 დოლარი ექვიალენტ ლარში.

	2021 წელი	2020 წელი
ოპერაციები მაკონტოლებელ ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირებთან		
მომსახურების ყიდვა - იჯარა	44,515	40,354
მომსახურების გაყიდვა - სესხი	56,064	95,095
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
ვალდებულებები მაკონტოლებელ ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების წინაშე	0	0
საიჯარო ვალდებულების დაფარვის ვადა არ აღემატება ერთ თვეს. სასესიო მომთხოვნების დაფარვა ხდება სასესიო ხელშეკრულების თანახმად ყოველთვიურად.		
	2021 წელი	2020 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი		
პირების ანაზღაურების (კომპენსაციის)	22,515	22,935
მთლიანი თანხა		

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2022 წლის 28 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ჰარი მასა

ეკატერინე საგინაშვილი





დირექტორი

მთავარი ბუღალტერი